პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 41 (11045) | სამშაბათი, 18 თებერვალი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ხალხის კანდიდატები. — ბრძოლასა და შრომაში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. გრიშინის პრესკონფერენცია (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. — **ვ. ცირეკიძე.** — საუბარი მშობლიური შახტის შესახებ (1-ლი გვერდი).

იფურჩქნება და ჰყვავის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურა. — **ნ. კეცხოველი.** — პირველი რექტორი; **ა. შანიძე.** — თბილისის უნივერსიტეტის ორგანიზატორი; **გ. წერეთელი.** — დიდი ინტერესი აღმოსავლეთის კულტურისადმი; **გ. კაჭახიძე.** — უნივერსიტეტს; **ვ. თოფურია.** — ქართული ენათმეცნიერება; **ვ. კუპრაძე.** — კადრების აღზრდის მძლავრი კერა; **ა. ფრეგასი.** — ველი ფიზიოლოგები; **ლ. გედევანიშვილი.** — ჩვენი ფიზიკოსები; **ვ. ...** — კომკავშირული საქმიანობა; **ა. ალექსიძე.** — ცოდნის მშობლიურ ტაძარში; **ბ. ბახტურიძე, ტ. ჭანტურია, ზ. ბოლქვაძე.** — ბედნიერი სიჭაბუკე (მე-2 და მე-3 გვერდი).

უცხოეთისა და ადგილობრივი ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის

კიდევ რამდენიმე დღე, და აღინიშნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე წლისთავი. 37 წელი ისტორიისათვის არც ისე დიდი დროა, მაგრამ რამდენი რამ გაკეთდა ამ ხნის მანძილზე ხალხისათვის, მშრომელი ადამიანებისათვის, ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის.

ახალი საწარმოები — ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გამართული ქარხნები და ფაბრიკები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, მაღაროები და შახტები, სამეცნიერო დაწესებულებები და სკოლები, კურორტები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, გზები და ხიდები, ელექტროსადგურები, რადიო და ტელევიზია... რა არ გაკეთდა ამ 37 წლის განმავლობაში მშრომელი ხალხის შემოქმედებითი შრომით, დიადი კომუნისტური პარტიის — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ბრძნული ხელმძღვანელობით.

დიდი ოქტომბრის პირმშოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქ ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა საქართველოს მეცნიერებას, აქედან წამოიზარდნენ და რესპუბლიკის მძლავრი სასწავლო-სამეცნიერო კერები გახდნენ სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პოლიტექნიკური და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, ასობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. უნივერსიტეტმა მოამზადა საფუძველი იმისათვის, რომ საქართველოში შექმნილიყო რესპუბლიკის სამეცნიერო მუშაობის მძლავრი შტაბი — მეცნიერებათა აკადემია, შექმნილიყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განვლილი გზა იმის მაგალითია, თუ როგორ იფურჩქნება და ჰყვავის ჩვენს დიად ქვეყანაში ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა — ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის დიადი მონაპოვარი.

კომუნისტური პარტია წარმართავს მეცნიერთა შემოქმედებითს შრომას, დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა მეცნიერების ყოველმხრივ განვითარებისათვის. ამ ზრუნვის შედეგია, რომ მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებმა მოგვცეს ახალი ძვირფასი ნაშრომები ისტორიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიის, მათემატიკის, მექანიკის, ტექნიკის, ფიზიკის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების და სხვა დარგებში. ნიჭიერ ისტორიკოსს გ. მელიქიშვილს ფუნდამენტალური ნაშრომებისათვის „ნაირი-ურარტუ“ და „ურარტუს ლურსმული წარწერები“ 1957 წელს ლენინური პრემია მიენიჭა.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ წერილებს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის შესახებ. სულ ორმოცი წლისაა იგი, მაგრამ რამდენი რამ აქვს გაკეთებული სამშობლო ქვეყნისათვის ახალგაზრდა კადრების აღსაზრდელად, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად. დღეისათვის მეცნიერების ამ ტაძარში უმაღლესი განათლება მიღებული აქვს 22 ათასზე მეტ ახალგაზრდას. ეს დიდი არმიაა, რომელიც რესპუბლიკის კულტურული აღმავლობისათვის შეუპოვრად მოღვაწეობს.

ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ემზადება. ხალხის რჩეულთა შორის დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული არიან ცნობილი მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, რომლებმაც თავიანთი შრომითა და გამოკვლევებით გაითქვეს სახელი. მრავალი ჩვენი მეცნიერი, კულტურის მოღვაწე აქტიურად მონაწილეობს საარჩევნო კომისიებში, ბევრი მათგანი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ეწევა დაუღალავ საზოგადოებრივ მოღვაწეობას — მშრომელთა წინაშე გამოდის მოხსენებებით, საუბრებით. მათი სჯერა ხალხს, სჯერა იმიტომ, რომ ისინი მოწინავე მეცნიერების — საბჭოთა მეცნიერების წარმომადგენლები არიან.

ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას სერიოზული შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობამ. ყრილობამ ჩვენს მეცნიერებს ცოდნის სხვადასხვა დარგში თეორიული გამოკვლევების მაღალ ნაყოფიერებასთან ერთად ამოცანად დაუსახა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მეცნიერებმა თავიანთი მოღვაწეობა, აკადემიისა და მისი ინსტიტუტების საქმიანობა უნდა მიუახლოონ წარმოებას, წარმართონ მეცნიერული ღონისძიებანი იმ პრობლემების დასამუშავებლად, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

ეჭვი არ არის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით გარემოსილი ჩვენი მეცნიერები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები კულტურის დაუცხრომელი მოღვაწეები კვლავაც ენერგიულად იბრძოლებენ საბჭოთა მეცნიერების აღმავლობისათვის, სამშობლოს აღუზრდიან მაღალკვალიფიციურ კადრებს.

ხალხის კანდიდატები

ბრძოლასა და შრომაში...

... უუმბარებით გადათხრილ უსახელო გორაკთან გააფთრებული ბრძოლა მთელ დღეს გრძელდებოდა. დაღამდა. შორს დასავლეთით მტრის მიერ ცეცხლწაკიდებული სოფლები იწვოდა და იფერფლებოდა...

ღამით ფრონტის წინა ხაზზე რაკეტების შუქზე გარკვევით გამოჩნდა, ვერაგულად რომ მოხოხავდნენ მტრის შენიღბული ჯარისკაცები.

წუთიც და გაისმა ბრძანება:

— ცეცხლი!..

უმალვე ატყდა ტყვიამფრქვევების, შაშხანების, არტილერიის გამაყრუებელი სროლა. გრგვინავდა, ზანზარებდა არემარე...

— სამშობლოსათვის, ძმებო, — დაიძახა მებრძოლმა სერგი კაკაბაძემ და მტერს პირისპირ ეკვეთა, ვეფხვივით ტრიალებდა, მუსრს ავლებდა მათ. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში კაკაბაძე მძიმედ დაიჭრა.

გავიდა დრო და სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლი კვლავ შრომის ფრონტს დაუბრუნდა. წულუკიძის აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში მის შესახებ ხშირად გაიგონებდით:

— ჩვენი სერგი ბრძოლაშიც ცეცხლი იყო და შრომაშიც ცეცხლიაო!

ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც კაკაბაძე ხელმძღვანელობდა, მუდამ მოწინავე იყო, საწარმოო დავალებას სისტემატურად ორმაგად ასრულებდა.

სერგი ახლის, პროგრესულისათვის დაუცხრომელი მებრძოლია, ღრმად ეუფლება ტექ-



ს. კაკაბაძე.

* * *

ნიკას. ცოდნის გასაფართოებლად მან ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტში დაიწყო სწავლა.

ცოდნით შეიარაღებული ვაუკაცი კვლავ საწარმოს დაუბრუნდა და ზეინკალ-მემონტაჟედ დაიწყო მუშაობა. სერგი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითებს იძლევა.

ს. კაკაბაძე ერთ-ერთი პირველი ჩაება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ დავალებას სამმაგად ასრულებს. მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მუდამ მაღალხარისხოვანია.

შესვენების დროს ან სალამოობით სერგის ნახავთ მეგობართა შორის. აგიტატორი კაკაბაძე დამსწრეთ მიმზიდველად, ცეცხლოვანი ესაუბრება მათთვის საინტერესო საკითხებზე.

— ვაუკაცობა ისკი არ არის, რომ გეგმა შეასრულო. საჭიროა ერთიორადაც გადააჭარბო! — ამბობს იგი. მას შემოქმედებითი შრომის კანონად აქვს დადგენილი — დღეს უკეთ იმუშაოს, ვიდრე გუშინ, ხვალ უფრო კარგად, ვიდრე დღეს.

ნოვატორი ზეინკალი ს. კაკაბაძე ამომრჩევლებმა ღირსეულად დააფასეს. იგი ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის 26 კომისრის № 146 საარჩევნო ოლქში. ს. კაკაბაძის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე და რეგისტრაციაში გაატარეს.

სახელოვანია მის მიერ განვლილი ბრძოლისა და შრომის გზა.

ა. სხვაველი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. გრიშინის პრესკონფერენცია

15 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. გრიშინი.

მომავალი არჩევნები, თქვა მან, მოეწყობა კომუნისტური მშენებლობის იმ ამოცანების განხორციელებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის ვითარებაში, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში.

სსრ კავშირის მე-4 მოწვევის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ დიდი წარმატებანი მოიპოვა პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ და კულტურულ დარგებში. ამ თვალსაჩინო წარმატებებზე ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი, რომელიც პრესაში დაიბეჭდა მიმდინარე წლის 9 თებერვალს.

1954 წლის არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდს ახასიათებს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარება. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებები, გაძლიერდა მათი როლი სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ძირეულად გარდაიქმნა მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობა. წარმატებით ხორციელდებოდა ლენინური ეროვნული პოლიტიკა, კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა ძმური მეგობრობა. დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა პროფკავშირების როლის გასაძლიერებლად სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წარმოების მართვაში მშრომელთა კიდევ უფრო ფართოდ ჩასაბმელად. ამ წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და ამაღლდა კულტურული დონე.

საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულ ბრძოლას ეწეოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და ნდობის განმტკიცებისათვის.

ამხ. გრიშინი მოკლედ შეეხო ამოცანებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს უახლოესი 15 წლისათვის. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირმა უნდა გადააჭარბოს წარმოების თანამედროვე მოცულობას ამერიკის შეერთებულ შტატებში უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის მიხედვით. სოფლის მეურნეობის მშრომელები ამჟამად აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დაეწიონ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

დაახასიათა რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების თავისებურებანი, ამხ. გრიშინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნებში მონაწილეობს თითქმის ყველა ამომრჩეველი, რომელნიც ერთსულოვნად აძლევენ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. ამ დებულების საილუსტრაციოდ მან მოიყვანა მონაცემები წინანდელი არჩევნების შესახებ.

საბჭოთა ხალხის მიერ წარმატებით შესრულება პროგრამისა, რომლითაც კომუნისტური პარტია გამოდიოდა წინა არჩევნებში, ხალხის ერთიანობა და დარაზმვა პარტიისა და მთავრობის გარშემო, პარტიისა და მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკისათვის მხურვალე მხარდაჭერა იმის საფუძველს იძლევა, რომ მომავალ არჩევნებში ამომრჩეველთა ერთსულოვან მოწონებასა და მხარდაჭერას პოვებენ დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც დასახელეა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკმა.

ამხ. გრიშინმა შემდეგ განაცხადა, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე შეიქმნა და მუშაობა დაიწყო ყველა საარჩევნო კომისიამ. ეს კომისიები, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მიხედვით იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საერთო კრებების წარმომადგენელთაგან. კომისიების შემადგენლობაში დასახელებული არიან ყველაზე ღირსეული და ავტორიტეტიანი მოქალაქეები, რომელნიც ამომრჩეველთა ნდობით სარგებლობენ და უნარი შესწევთ უზრუნველყონ საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა უთუო დაცვა. ყველა საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში 1 მილიონ 200 ათასზე მეტი კაცი მუშაობს; მათ შორის არიან: ქალები 42 პროცენტზე მეტი, უპარტიოები — 57 პროცენტზე მეტი.

ამხ. გრიშინმა შემდეგ მოაგონა დამსწრეთ სსრ კავშირის კონსტიტუციის ძირითადი დებულებანი, რომლებიც ყველა მოქალაქეს აძლევენ საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას ფარული კენჭის ყრით. მან აგრეთვე უამბო კორესპონდენტებს, თუ რა წესით ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და მათი განხილვა საწარმოების, კოლმეურნეობების, მტსების და სხვ. მშრომელთა საერთო კრებებზე, უამბო პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობაზე ამ განხილვაში, საადგილო პროპაგანდისტულ მუშაობაზე ამომრჩეველთა შორის, თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ანგარიშგების პრაქტიკაზე.

პრესკონფერენციის დასასრულს ამხ. გრიშინმა უპასუხა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების კითხვებზე.

მოკლედ

◎ ამ დღეებში თბომავალ „კოოპერაციით“ ანტარქტიდიდან სამშობლოში გამოემგზავრა მეორე საბჭოთა საკონტინენტო ექსპედიციის მოზამთრეთა უკანასკნელი ჯგუფი — 85 პოლარელი მკვლევარი, რომლებიც 14 თვის განმავლობაში ყინულოვან მატერიკზე იყვნენ. ექსპედიციამ მიიღო მდიდარი მასალა ანტარქტიდის ბუნების შესახებ.

მესამე ზამთრობაზე 1959 წლამდე ანტარქტიდაში დარჩა 180 კაცი.

უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა

ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1957 სამეურნეო წლის შედეგებისა და 1958 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. პ. ბაქრაძემ. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გასულ წელს პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგად ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაში სერიოზული წარმატებებია მოპოვებული. გაიზარდა მარცვლეული კულტურების, თამბაქოს, ჩაის, ციტრუსოვანთა, ბოსტნეულის, ბოსტნეულ-ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ბაღეულ-ბაღ-ბაღ-ბ-ბ-ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე წლისთავისათვის

იფურჩქნება და ჰყვავის ფორმით ეროვნული

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედი ილია ჭავჭავაძის პროსპექტიდან. (ფოტო შ. ჩხეტიანისა.)

პირველი რექტორი

1925 წელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი აუდიტორია ხალხით არის გაჭედილი. ისმის მიყრუებული საუბრის გუგუნი. აქ არიან ჩვენი მეცნიერნი, უნივერსიტეტის დამაარსებელნი, პირველი პროფესორები, საქართველოს საზოგადო მოღვაწენი, სტუდენტები, თუ ჰაღარაშერთულნი დინჯად სხედან და წყნარად საუბრობენ, სამაგიეროდ ახალგაზრდობა მოუსვენრად არის, ფლოდეს, თვალები უბრწყინავს. იღიმებიან, თავშეკავებით იცინიან, უხარით დღევანდელი დღე.

გრიგალივით მოვარდნილმა ტაშმა დარბაზის ჭერი ასწია, კედლები განზე გასწია, აუდიტორიაში ვერ დაეტია.

უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ი. ჯავახიშვილს მკლავში ხელგაყრილი შემოჰყავს შუბლმაღალი, სახემადლიანი, სიკეთით სავსე თვალებიანი მოხუცი, ეს არის პროფესორი პ. მელიქიშვილი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი. იღიმება, მაგრამ აშკარად ჩანს, ტუნი უკრთის, თავს დაბლა ხრის, წამწამზე სპეტაკი მარგალიტი დაეკიდა, სიხარულის ცრემლია, ხალხმა შენიშნა, და ტაშის ცემა გაძლიერდა.

პეტრე მელიქიშვილს 70 წელი შეუსრულდა და მადლიერი საზოგადოებრიობა იუბილეს უსდის. ღვაწლმოსილმა მოხუცმა იცის, რომ მისი სახით ქართველი ხალხი დღეს ზეიმობს, ზეიმობს მრავალ წელთა მანძილზე გულით ნატარები იმედების გამართლებას: უნივერსიტეტის დაარსებას, ქართული კულტურის ჩაუქრობელი ცეცხლის გაჩაღებას, რომელმაც სითბო უკვე მოჰფინა პირნახულ სამშობლოს.

პ. მელიქიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში.

— „თქვენ, თქვენ მოგმართავთ, ახალგაზრდებო! — ამოიხედა სტუდენტებისაკენ თავის სიტყვის დროს — ერთი წუთითაც, არასდროს არ დაივიწყოთ, რომ თქვენ საქართველოს შვილები ხართ, არ დაივიწყოთ, რომ მეცნიერება მოითხოვს ერთგულებას, თავდადებას, სიყვარულს და შრომას, მეცნიერებისაკენ სხვა გზა არ არის, არც ყოფილა, არც იქნება. ასეთი შრომა ესაჭიროება ჩვენს სამშობლოს...“

თითქოს სუნთქვაც კი შეჩერდაო, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თვითეული გრძნობდა, რომ მეცნიერის სიტყვა პირადად მის წარსულსაც ასახავდა. მეცნიერებისათვის იმაზე მეტი თავდადება, რაც მას ახასიათებდა, წარმოუდგენელია. ერთგულება? მეცნიერების ერთგულების გამო უცოლშვილოდ გადაეგო შესანიშნავი ახოვანი, ლამაზი, ეშხიანი, ჭკვიანი ვაჟკაცი. სამშობლოს დიდმა სიყვარულმა აკისრებინა მოხუცობის ტვირთი დიდი საქმის სათავეში ჩადგომა — ჩვენი უნივერსიტეტის რექტორობა.

1924 წელს ბათუმში. მოეწყო შავი ზღვის სანაპიროების მხარეთმცოდნეობის ყრილობა, ამ ორგანიზაციაში მოუკალათებინათ რევოლუციის მიერ გარიყულთ, ბევრ მათგანს არც რევოლუცია სწამდა, არც პატარა ერების დამოუკიდებლობა, ყრილობაზე უნივერსიტეტის მეცნიერნი, მაშინ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანნი, პ. მელიქიშვილის მეთაურობით გაიმეგზავრნენ. ახალგაზრდებიც გაგვიყოლიეს. ყრილობას თავიდანვე ხელი მოჰკიდა საქართველოს განთლების კომისარმა. მიუხედავად შედარებით მცირერიცხოვნობისა, უნივერსიტეტის მუშაკები ყრილობის ყოველ სექციაში იყვნენ. „ჩვენი მოხუციც“, ასე ვეძახდით პ. მელიქიშვილს, ყველგან დადიოდა, მოხსენებებს ესწრებოდა, დისკუსიებში მონაწილეობდა, აქტიურობდნენ ახალგაზრდებიც, უნდა ითქვას, საფუძვლიანად და კარგად. და როდესაც თბილისი საკენ ვბრუნდებოდით, უნდა გენახათ პ. მელიქიშვილს როგორ უბრწყინავდა თვალები, როგორ იღიმებოდა, როგორ უხაროდა.

— „რა გვარია ის ყმაწვილი, აი ხეკაკუნაა შესახეგ რომ ჩაუკაკუნა?..“ — კითხულობდა ღიმილით. ვეტყოდით გვარს, გაეღიმებოდა, „კარგი, კარგია“... დაატანდა. „აი ის ვინლაა?“ — იტყოდა ახლა სხვაზე. „სტუდენტია? ჩვენი? ძალიან კარგია“. და მთელი საღამო მათზე ლაპარაკობდა.

სულეროდა ჩვენი ახალგაზრდობისა. ჰქონდა იმედი, რომ მალე შეინაცვლებოდნენ.

იმედი არ გაუცრუვდა. საქართველოს მეცნიერება ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს დიდ ქვეყანაში. ეს მეცნიერება აიგო იმ საძირკველზე, რომელიც ივ. ჯავახიშვილთან ერთად პეტრე მელიქიშვილმა და სხვებმა ჩაჰყარეს და რომელსაც თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდება.

ნ. კეცხოველი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

თბილისის უნივერსიტეტის ორგანიზატორი

თბილისის უნივერსიტეტის მოწყობის წინასწარი სამუშაოების შესრულება, მისი დაარსება და საქმეთა პირველ ხანებში გაძღოლა მეჰიდროდ დაკავშირებულია მეცნიერისა და დიდი ადამიანის ივანე ჯავახიშვილის სახელთან.

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ იგი არ იყო კარჩაკეტილი მეცნიერი, იგი იღვწოდა ხალხისათვის და თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებს ხალისით ავრცელებდა ხალხში. ახალგაზრდობისას, როცა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა პრეფეტ-დოცენტი იყო, ზაფხულობით საქართველოში ბრუნდებოდა და აქ საჯაროდ ლექციებს კითხულობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველი პერიოდი იმ ხანას დაემთხვა, როცა ქართული ეროვნული მაჯისცემა ძალიან მოდუნებული იყო და ქართული კულტურა — დაკანონებული. საერო იყო საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება, მიძინებული ძალების გამოფხიზლება და ამუშავება.

ი. ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში.

ქართველი ხალხი ი. ჯავახიშვილისათვის იყო არა მარტო სამეცნიერო კვლევა-ძიების ობიექტი, არამედ დიდი გაჭანების, შემოქმედებითი და სასიცოცხლო ენერგიის მქონე ერი, რომელსაც ყველა უნდა გაეფფურჩქნა თავისი სულიერი ძალა და გამოეჩინა კულტურული შემოქმედების მთელი ენერგია.

დიდ მეცნიერს იმის ცნობებიც ჰქონდა შეკრებილი, თუ სად რა სპეციალისტის ქართველი პროფესორი, დოცენტი თუ ასისტენტი იყო.

უნივერსიტეტის დაარსებით ი. ჯავახიშვილი დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. იგი ამ შემთხვევაში არ ფიქრობდა თავის თაზე, თავის სახელზე. მოახლოვდა უნივერსიტეტის გახსნის დღეც. ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ უნივერსიტეტის რექტორად უნდა ყოფილიყო მისი ორგანიზატორი — ივანე ჯავახიშვილი. მაგრამ ოფით ი. ჯავახიშვილმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ამ თანამდებობაზე კენჭი ეყაროთ არა მისთვის, არამედ პეტრე მელიქიშვილისათვის, რომელიც სახელგანთქმული მეცნიერი იყო და ერთ დროს ოდესის უნივერსიტეტში პროფესორობდა. თვით პეტრე მელიქიშვილს ეს მეტად ეუცხოვა და უარზეც დადგა.

პროფესორთა კოლეგიის პირველ ოფიციალურ კრებაზე, რომელიც 1918 წ. 26 იანვარს შედგა (ძველი სტილით 13 იანვარს), რექტორად არჩეულ იქნა პეტრე მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად — ივანე ჯავახიშვილი, ხოლო პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდივნად — იოსებ ყიფშიძე. უნივერსიტეტის გახსნა კი მოხდა 13 დღის შემდეგ — 8 თებერვალს.

უნივერსიტეტი კერძო თაოსნობით დაარსდა და კერძო დაწესებულება იყო პირველ ხანებში. სახელად მას ქართული უნივერსიტეტი ერქვა. მის ბეჭედს ნუკრიანი ირემი ეხატა (არქეოლოგიური გათხრების დროს ჩვენში ნაპოვნ ნივთებზე გამოსახულების მიხედვით გაკეთებული). უნივერსიტეტის სახსრებს, და ქონებას შეადგენდა სტუდენტთა სწავლის ფული და შემოწირულ ებანი სხვადასხვა სახისა: ფული, წიგნები, ზოგჯერ მთელი კოლექციებიც კი, ლაბორატორიის ნივთები და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ შემოწირულება უნივერსიტეტს უხვად მოსდიოდა, მაგრამ იგი მაინც დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

თავდაპირველად ერთი ფაკულტეტი იყო, რომელსაც სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ერქვა. მას მხოლოდ სამი ოთახი ეჭირა იმ შენობაში, რომელშიც ძველთ სათავადაზნაურო გიმნაზია იყო მოთავსებული და რომელიც ამჟამად უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს წარმოადგენს.

გავიდა წლები. უნივერსიტეტი თანდათან გაიზარდა, განმტკიცდა. განუზომელია მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. ჩვენი ხალხი დიდი სიყვარულით იგონებს ამ დაწესებულების თავდადებულ მოამაგეს, მის ორგანიზატორს — დიდ ივანეს, რომლის სახელი მარად დარჩება ქართველი ხალხის გულში სხვა დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად.

აკაკი შანიძე.

ქართული ენათმეცნიერება

ქართულ ენათმეცნიერებას, როგორც მეცნიერების სხვა მრავალ დარგსაც, საფუძველი თბილისის უნივერსიტეტში ჩაეყარა. მისი სწრაფი განვითარებაც უნივერსიტეტის გიგანტური ზრდასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ქართული ენათმეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზებიც თავიდანვე სწორად გაიკვალა: უნივერსიტეტს „თავის მიზნად და მოვალეობად ქართულისა და ქართველურის გარდა კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული“ (ივ. ჯავახიშვილი). ამ გზით სვლამ შესაძლებელი გახადა შექმნა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა, რომელმაც სათანადო აღიარება ჰპოვა და კანონიერი ადგილი დაიმკვიდრა ზოგად ენათმეცნიერებაში.

ქართული ენათმეცნიერების ჩამოყალიბება ძველი ქართული ენისა და ენათმეცნიერების კურსების კითხვით დაიწყო. მალე მათ სხვა ენათმეცნიერული დისციპლინები დაემატა. ამან განაპირობა ქართულთან ერთად სხვა ქართველურ ენათა და მათ დიალექტთა მეცნიერული შესწავლა, კვლევა-ძიება წარიმართა ამ ენათა სტრუქტურისა და მათი გენეტიკური ურთიერთობის საკანძო პრობლემების გადასაჭრელად. შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა (ფუნდამენტალური შრომები, მონოგრაფიული გამოკვლევები, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და სხვ.).

ამგვარმა კვლევამ უფრო თვალსაჩინო გახადა ქართველურ ენათა სტრუქტურის თავისებურება, სპეციფიკური მოვლენების ახსნის ინტერესმა ყურადღება წარმართა მთის კავკასიურ ენათა შესწავლისაკენ. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა 1938 წელს დაარსებული კავკასიურ ენათა კათედრა, რომლის მეცადინეობით დღეს უკვე გამოკვლეულია მთის კავკასიურ ენათა და მათ დიალექტთა მეტი წილი.

დღეს თბილისი აღიარებულია კავკასიურ ენათა შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. შექმნილია ძვირფასი სახელმძღვანელოები, სადაც დადგენილია კავკასიურ და ქართველურ ენათა ნათესაური დამოკიდებულება, ნაჩვენებია ეტაპები მათი განვითარებისა და გზები მათი ერთმანეთისაგან თანდათანი დაშორებისა. ამ ღრმა კვლევის საფუძველზე წარმოიშვა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, რომელსაც დასაბამი უნივერსიტეტში მიეცა.

უნივერსიტეტის სენენათმეცნიერო კათედრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კულტურულ მშენებლობაში, იყო ეს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა, სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაცია, რუსულ-ქართული ლექსიკონების, სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენა თუ სხვა.

მთელ საენათმეცნიერო საქმეს უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში სამი კათედრა ხელმძღვანელობდა, განვლო ოთხმა ათეულმა წელმა, და უნივერსიტეტი უმაგალითოდ გაიზარდა. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისგან წარმოიშვა უნივერსიტეტშივე ფილოლოგიის ფაკულტეტი რამდენიმე განყოფილებითა და განხრით, ისტორიის, ეკონომიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის, დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურათა ფაკულტეტები, სამი კათედრა იქცა (თუ უნივერსიტეტში წარმოდგენილ ყველა ენას გავითვალისწინებთ) 12-ზე მეტ კათედრად, ქართული ენის კათედრის ნაყარია ყველა პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრა, გადიდდა კადრების რიცხვი: ყველა დისციპლინას ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი.

ვ. თოფურია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

* * *

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი (1925 წ.).

სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) — მიხეილ კონიაშვილი, გრიგოლ ნათაძე, ანდრო ბერაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდებულიძე, მიხეილ თაქთაქიშვილი; დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) — ნიკო მგელაძე, სერგი გორგაძე, იასონ მოსეშვილი, ვასილ კაკაბაძე, სოლომონ ქურდიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ევგენი ჭოლოშვილი.

უნივერსიტეტს

გამოერჩევი ირგვლივ შენობებს
სიდარბაისლით, თეთრი სამოსით.
მე შენს ეზოში დღესაც შემოველ,
როგორც მშობლიური კარმიდამოში.

ბიგოც რომ ვიყო, აქ გავნელდლები,
მიწას დავხედავ გაღიმებული.
მიყვარს ეს ეზო, შენი კედლები,
საფუტკრესავით გადვიძებული.

სიბრძნის სინათლემ კვლავ გამახარა,
კვლავ გამიტაცე აზრით, მსჯელობით,
და რომ არ ვიყო ასე ჭაღარა,
ალბათ შენს მერხზე კვლავ
დავჯდებოდი.

ლტოლვას ცოდნისკენ რა შემიჩერებს,
ვიცი, რა ვნერგო, რა მევალება,
თუ რამ წარსულში არ დაგიჯერე,
დამრჩეს ყოველთვის მე სანანებლად.

ჩემი სიმღერის სიავკარგეში
წილი დადე სიბრძნის მამამაც.
კრძალვით შემოველ მე შენს კარებში,
შენი ამაგით გაველ თამამად.

შრომის დიდ გზაზე ფიქრი დავძარი
სივრცეს გავხედე, ვთქვი — ნათელია.
ჭაბუკს იმდენი მომეც საგზალი,
ვხარჯავ, ვხარჯავ და არ დამელია.

გიორგი კაჭახიძე.

დიდი ინჯენერი აღმოსავლეთის კუდჯურისადმი

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა. ქართველი ხალხის მრავალი თაობის წარმომადგენლები ამაოდ ოცნებობდნენ იმაზე, რომ უმაღლესი განათლება დედაენაზე მიეღოთ. მოწინავე საზოგადოებრიობის ყოველი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა თბილისში უნივერსიტეტის დარსებას, მუდამ უშედეგო რჩებოდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ განვითარდა საქართველოში ხალხური განათლება, საერთოდ, კერძოდ — უმაღლესი განათლება. უმაღლესი განათლების შესანიშნავ წარმატებას ჩვენში დამაჯერებლად მოწმობენ ციფრები. რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე უმაღლესი განათლების მქონე 14 კაცი მოდის. ეს მეტად დიდი ციფრია. მეტწილ კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი დღემდე მიღწეული არ არის.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების ძლიერი საშემედლოა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თავისი არსებობის ორმოც წელიწადში მან ‘ხვადასხვა პროფესიის 22 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვა. ახალგაზრდა ქიმიკოსები, მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, ისტორიკოსები, ლიტერატორები, ეკონომისტები, რომლებმაც სპეციალობა თბილისის უნივერსიტეტში მიიღეს, ნაყოფიერად მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. საქართველოში არ არის არც ერთი ქალაქი თუ სოფელი, სადაც უნივერსიტეტში აღზრდილნი არ მუშაობდნენ. რესპუბლიკის ყოველ 180 მცხოვრებზე მოდის ერთი კაცი, რომელსაც უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. თბილისის უნივერსიტეტში აღზრდილნი შეიძლება ვნახოთ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც, საბჭოთა კავშირის ბევრ კუთხეში, მეექვსე ხუთწლედის მრავალ მშენებლობაზე.

ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს 5.500-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებიც ჩამოსულნი არიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. სტუდენტთა შორის არიან სსრ კავშირის 22 ეროვნების წარმომადგენლები. მათთვის შექმნილია სწავლის კარგი პირობები. სტუდენტთა განკარგულებაშია 138 კარგად მოწყობილი კაბინეტი და ლაბორატორია, 5 მუზეუმი, პლანეტარიუმი, კინოკაბინეტი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში 1.360.000 წიგნია. მას ექვსი ათასზე მეტი მკითხველი ჰყავს.

უნივერსიტეტის კოლექტივი სამართლიანად ამაყობს თავის პროფესორ-მასწავლებლებით. 76 კათედრაზე აქ გაერთიანებულია 529 მეცნიერი და პედაგოგი. უნივერსიტეტის მასწავლებლები არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების 16 წევრი, 21 წევრი-კორესპონდენტი, 85 პროფესორი, 162 დოცენტი, 282 მეცნიერებათა კანდიდატი. თბილისის უნივერსიტეტში მუშაობენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც არიან ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. ჩიქობავა, კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ა. ჯანელიძე, ალ. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი, რ. ნათაძე, ა. ხარაძე, ლ. გოკიელი, ვ. თოფურია, ე. ანდრონიკაშვილი, ვ. მამასახლისოვი, შ. მიქელაძე, მ. ნოდია და სხვ.

უნივერსიტეტის მეცნიერები დიდ კვლევითს მუშაობას ეწევიან: 40 წელიწადში მათ ათი ათასამდე ნაშრომი გამოქვეყნეს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჭეშმარიტად უდიდესი მუშაობა, რაც შესრულებულია აქ ქართულ ენაზე უნივერსიტეტის ორიგინალური სახელმძღვანელოების შესაქმნელად. უნივერსიტეტის გამოცემათა შორის ვხვდებით ისეთ ფუნდამენტურ შრომებს, როგორიც არის ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ 5 ტომად, კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ 2 ტომად, ა. ჯანელიძის „ისტორიული გეოგრაფია“, ა. თვალჭრელიძის „კრისტალოგრაფიის საფუძვლები“, შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“ და სხვ. ნ. მუსხელიშვილის, ი. ბერიტაშვილის, ა. ჩიქობავას, კ. ბაქრაძის, გ. წერეთლის, შ. მიქელაძის და სხვ. წიგნები თარგმნილია რუსულ ენაზე და მიღებულია ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ ან დამხმარე წიგნებად. უნივერსიტეტის მეცნიერთა თვალსაჩინო შრომები მათემატიკაში, ფიზიკაში, ლინგვისტიკაში, ლიტერატურის ისტორიაში ითარგმნილია სსრ კავშირისა და ბევრი უცხო ქვეყნის ხალხთა ენებზე.

მაგრამ საქმე მარტო ცალკეულ მეცნიერთა იზოლირებულ ნაშრომში როდია; შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ყველაზე დიდი მიღწევა ის ფაქტია, რომ ჩვენში წარმოიშვა

კადრების აღზრდის

ბ. წერეთელი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი.

შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსებიდან 37-ე წლისთავისადმი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი ეროვნების სტუდენტი სწავლობს. სურათზე: სტუდენტების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ვ. სტასიუკი, ვ. კორხოვა, რ. ამაშუკელი, მ. პაპისმედოვი, ლ. შანავა, გ. გალუსტოვი, ლ. ამირხანოვა, დ. დრიაევი, ლ. სოხაძე, ვ. ტაბატაძე, ლ. ბასილაია, გ. ნიკოლაძე, ვ. პაკი, თ. შათირიშვილი, გ. ბოზალიშვილი, ე. კვიტაიშვილი, ხ. ტოფი, ი. მანჯგალაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

40 წელიწადში...

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოქტომბრის რევოლუციის პირმშოა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უნივერსიტეტი გადაიქცა ქართული კულტურის მძლავრ კერად. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო საბჭოთა საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების უმაგალითო განვითარებას. რესპუბლიკის მრავალი უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტის ბაზაზე აღმოცენდა.

* * *

უნივერსიტეტის საფუძველზე 1941 წელს საქართველოში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია. მის დამფუძნებელთა შემადგენლობაში 15 კაცი იყო, მათგან 13 — უნივერსიტეტის პროფესორი. აკადემია ამჟამად თავის სისტემაში 50-ზე მეტ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას აერთიანებს.

* * *

უნივერსიტეტში ამჟამად დაუსწრებელი განყოფილებების ჩათვლით სწავლობს 22 ეროვნების 5.500-ზე მეტი სტუდენტი. გარდა ქართველებისა, უნივერსიტეტში სწავლობენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები, ებრაელები, ესტონელები, ლატვიელები, ბერძნები, პოლონელები, ჩეხები, კორეელები და სხვ.

* * *

უნივერსიტეტში ლექციას კითხულობს 529 პროფესორ-მასწავლებელი, მათგან 85 პროფესორია, 162 დოცენტი და 282 მეცნიერებათა კანდიდატი. მათ შორის ორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრია (აკად. ნ. მუსხელიშვილი და აკად. ივ. ბერიტაშვილი), ოთხი წევრი-კორესპონდენტი (პროფ. ა. შანიძე, პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. გ. წერეთელი, პროფ. შ. ამირანაშვილი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია 16 კაცი, მათ შორის პროფესორები გ. კუპრაძე, მ. საბაშვილი, კ. კეკელიძე და სხვ.

ქართველი ფიზიოლოგები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ჩამოყალიბება-ორგანიზაცია დაკავშირებულია გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილის სახელთან. იგი, უკვე საკმაოდ ცნობილი მეცნიერი, 1919 წელს მოწვეულ იქნა ოდესის უნივერსიტეტიდან ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორად და ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ. ი. ბერიტაშვილი იმ თავითვე შეუდგა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ორგანიზაციას, ფიზიოლოგიაში ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შედგენას და ახალგაზრდა კადრების მომზადებას.

1955 წლიდან ბიოლოგიის ფაკულტეტზე ფიზიოლოგიის ცალკე სპეციალობის შემოღებით კათედრის სასწავლო მუშაობა მეტად გაიზარდა, ამჟამად კათედრაზე ლექციები იკითხება 14-ზე მეტ ფიზიოლოგიურ დისციპლინაში, რომელთა კვალიფიციური ლექტორები თვით კათედრის მიერ არიან აღზრდილნი, ისევე, როგორც ფიზიოლოგები, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და საკვლევ ინსტიტუტებში.

1929 წლამდე ზოგადი ფიზიოლოგიის კურსის კითხვა მთლიანად ემყარებოდა მექანისტურ მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ე. ი. ყველა ფიზიოლოგიური მოვლენა აიხსნებოდა ფიზიკისა და ქიმიის კანონების მიხედვით. მაგრამ 1929 წლიდან კათედრაზე წარმოებდა მუშაობა ზოგადი ფიზიოლოგიის დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით გადამუშავებაზე. ამ ახალი თვალთახედვით კათედრის გამგის ი. ბერიტაშვილის მიერ ფიზიოლოგიური მოვლენები გაშუქებულ იქნა მის მიერ ქართულ ენაზე სტუდენტთათვის გამოცემულ „კუნთოვან და ნერვულ სისტემათა ფიზიოლოგიის“ სახელმძღვანელოებში და რუსულ ენაზე ორტომად გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში.

სურათზე: აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი (მარჯვნივ), ასპირანტები ნ. ხერხეულიძე, ი. აივაზაშვილი ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის საექსპერიმენტო მაგიდასთან.

კათედრაზე კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა ფიზიოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემათა გარშემო: კუნთის, პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების, დიდი ტვინის ინდივიდური (პირობითი) რეფლექსური მოქმედების, ცხოველთა ქცევის, უხერხემლო ცხოველთა კოორდინაციის, ცენტრალური ნერვული სისტემის ელექტრული აქტივობისა და კუნთისა და ნერვულ სისტემებში ბიოქიმიური პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებათა დადგენაზე და სხვ. ამ კვლევათა საფუძველზე 20 წლის მანძილზე (1921-1941 წ.) გამოქვეყნებულ იქნა 250-ზე მეტი მეცნიერული შრომა, რომელთაგან რამდენიმე მონოგრაფიული ხასიათისაა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის კვლევით მუშაობას ძირგად იცნობენ და აფასებენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. ამის ნათელი დადასტურებაა შრომათა გაცვლა-გამოცვლა, რასაც ფიზიოლოგიის კათედრა აწარმოებს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთ არსებულ ფიზიოლოგიურ დაწესებულებებთან.

ფიზიოლოგიის კათედრის ლაბორატორიის ბაზაზე 1933 წელს ჩამოყალიბდა ბიოლოგიის ინსტიტუტი, 1935 წელს მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების ადამიანისა და ცხოველთა ქცევის შემსწავლელი ინსტიტუტი და, ბოლოს, 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი.

უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრა აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით უფრო მეტი ენერგიით განაგრძობს პედაგოგიურ მუშაობას და მეცნიერულ კვლევას ფიზიოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე.

პროფესორი **ა. ბრეგაძე.**

ჩვენი ფიზიკოსები

საბჭოთა საქართველოში ფიზიკის მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

ფაკულტეტის მრავალი კურსდამთავრებული მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, წარმოებასა და საშუალო სკოლებში. რესპუბლიკის გარეთაც — მოსკოვში, ხარკოვში და ანტარქტიკის ექსპედიციაშიც კი შეხვდებით ფიზიკის ფაკულტეტის აღზრდილებს.

სტუდენტების მომზადება თანამედროვე ფიზიკის ექვსი ძირითადი სპეციალობის მიხედვით წარმოებს, სახელდობრ მყარი სხეულების ფიზიკის, ნივთიერებათა აღნაგობის, რადიოფიზიკის, დაბალი ტემპერატურების ფიზიკის, თეორიული ფიზიკის და გეოფიზიკის დარგებში.

ლაბორატორიებს გარდა ფაკულტეტს აქვს მექანიკური, ხის დასამუშავებელი და სამონტაჟო სახელოსნოები, სადაც ხდება ახალი ხელსაწყოების დამზადება სასწავლო პროცესის, სტუდენტთა სადიპლომო შრომების და სამეცნიერო მუშაობის საჭიროებისათვის. ფაკულტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა სპეციალური ლაბორატორიის — დაბალი ტემპერატურების ანუ ე. წ. კრიოგენული პავილონის შექმნა და ამუშავება, სადაც ხდება ნივთიერების თვისებების შესწავლა დაბალი ტემპერატურების, უფრო სწორად რომ ვთქვათ ტემპერატურის აბსოლუტური ნულის მახლობლობის პირობებში.

ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი სტუდენტთა მომზადებასთან ერთად დიდ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასაც ეწევა. ძნელია დავასახელოთ თანამედროვე ფიზიკის რომელმე დარგი, რომ მასში შემავალი საკითხები ასახული არ იყოს ფაკულტეტის სამეცნიერო შრომებში — ატომბირთვის თეორია, დედამიწის მაგნეტიზმი, მეტეოროლოგია, პარამაგნეტური რეზონანსი, კოსმოსური სხივები, იზოტოპების თვისებები, რადიოტალღების გენერირება და გავრცელება, ნახევარგამტარების თვისებები და ბევრი სხვ.

სამეცნიერო მუშაობაში სასიხარულო მოვლენაა ნახევარგამტარების, ელექტრონიკისა და ბირთვული ფიზიკის ახალი საკვლევი ლაბორატორიების შექმნა, სადაც მნიშვნელოვანი თანამედროვე მეცნიერული პრობლემები უნდა დამუშავდეს.

ლ. გედევანიშვილი,
ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

ჩქეფს კომკავშირული საქმიანობა

ყველასათვის ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობის ფაქტია ახალგაზრდობის ლაშქრობა ყამირ მიწებზე მოსავლის ასაღებად. ჩვენმა სტუდენტებმა ღირსეულად შეასრულეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალება და შრომითი გმირობის მაგალითები გვიჩვენეს.

თენგიზ ხუციშვილი, კარლო ქადაგიშვილი, იუზა დევდარიანი, პაარმენ ლემონჯავა და სხვები დიდ ხანს ემახსოვრებათ ყამირულ ახალმოსახლეებს.

ყამირზე ლაშქრობით გარდა იმისა, რომ ერთხელ კიდევ დავადასტურეთ ჩვენი მზადყოფნა — გამოვეხმაუროთ შშობლიური პარტიის ყოველ დაძახილს, ჩვენი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, ჩვენმა სტუდენტებმა გაიარა შრომითი აღზრდის ნამდვილი სკოლა. ეს მუშაობა არც ყამირიდან დაბრუნების შემდეგ შეწყვეტილა, უნივერსიტეტის სტუდენტობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალაქის გამწვანებასა და კეთილმოწყობაში.

არანაკლები ყურადღება ექცევა სტუდენტთა. ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს. გასულ არდადეგებზე ჩვენთან სტუმრად იყვნენ ვილნიუსის კომსუკასის სახელობის უნივერსიტეტის კომკავშირელი აქტივისტები, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და სხვ. ჩვენმა სტუდენტებმა გულთბილად მიიღეს სტუმრები და შეეცადნენ რაც შეიძლება სრულად გაეცნოთ მათთვის ჩვენი უნივერსიტეტისა და ქალაქის ცხოვრება. „თქვენი მეშვეობით ჩვენ შევძელით გავცნობოდით არა მარტო თქვენს მუშაობას უნივერსიტეტში, არამედ თბილისის ისტორიულ ძეგლებსაც. ჩვენ ვადარებდით ჩვენს ძველ უნივერსიტეტს თქვენსას და დავრწმუნდით, რომ უნდა ვისწავლოთ თქვენგან. ვბრუნდებით რა ჩვენს სამშობლოში — ლიტვაში, თან მიგვაქვს მეგობრობის თბილი მოგონებები და ვიმედოვნებთ, რომ ეს მეგობრობა მხოლოდ კარგი დასაწყისია, რომ წასვლისას შეგვიძლია ვთქვათ: „მომავალ შეხვედრამდე ლიტვაში, ძვირფასო მეგობრებო“ — წერდნენ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩვენი ლიტველი სტუმრები.

ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირელები გაცხოველებით ემზადებიან თბილისის 1500 წლისთავისა და კომკავშირის 40 წლისთავის შესახვედრად. ექვი არ არის უნივერსიტეტის ახალგაზრდობა ამ საიუბილეო თარიღებს შეხვდება ახალი მიღწევებით შრომასა და სწავლაში.

ბ. კიკვიძე,
უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის მდივანი,

ცოდნის მშობლიურ ჯაჭარში

უნივერსიტეტის ნათელ აუდიტორიებში მშობლიური მწერლობისა და ენის საფუძვლიანი შესწავლის სურვილმა მიმიყვანა. ჩვენი ფაკულტეტის სახელმოხვეჭილი პედაგოგები გატაცებით გვასწავლიან ქართველი ერის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულ ათვისებას. მაგრამ უნივერსიტეტის ამოცანა მარტოოდენ რიგიანი სპეციალისტის აღზრდა როდია. უნივერსიტეტში სტუდენტი ყალიბდება როგორც ჩვენი ეპოქის სრულფასოვანი მოქალაქე, როგორც კომუნისტური საზოგადოების ღირსეული და აქტიური მშენებელი. აღნიშნული ამოცანის განხორციელებას კი ქმედითად უწყობს ხელს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ენერგიული საქმიანობა.

წელს გაზაფხულზე გარდა ტრადიციული, რიგი მეოცე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისა, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თაოსნობით განზრახულია გეოგრაფ სტუდენტთა პირველი საკავშირო კონფერენციის გამართვა. დღეისათვის მოკავშირე რესპუბლიკების რამდენიმე უნივერსიტეტიდან უკვე მიღებულია თანხმობა აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე. მიმდინარე წელს გამოიცემა სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების VIII ტომი, სტამბას გადაეცემა IX ტომის მასალები.

ვცდილობთ ისეთი ნაშრომების შერჩევას, სადაც მეტი იქნება დამოუკიდებელი კვლევის ელემენტები, მეცნიერულად სრულფასოვანი დასკვნები და დაკვირვებები.

ისევე როგორც წინა წლებში, მთელი რიგი სტუდენტები წარსდგებიან თავიანთი მოხსენებებით საბჭოთა კავშირის სხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე, ხოლო ამ უნივერსიტეტებიდან ჩამოსული ამხანაგები თავიანთ სამეცნიერო ნაშრომებს გაგვაცნობენ.

ურთიერთობის ეს ფორმა — პირადი შეხვედრები და გაწეული შრომის შედეგების ურთიერთგაზიარება, გარდა წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობისა, მტკიცე, სამარადჟამო მეგობრობის უეჭველ საწინდარსაც წარმოადგენს.

უნივერსიტეტის მხურვალე სიყვარული, მისი ტრადიციების თაყვანისცემა, მის მიერ გაწეული მშობლიური ამაგის გრძნობა ღრმად არის ჩაბეჭდილი მადლიერი სტუდენტების გულში. ეს გრძნობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგვყვება და ჩვენი მომავალი წარმატებების ძლიერი სტიმული იქნება.

ალექსანდრე ალექსიძე,
ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, სტალინის სახელობის სტიპენდიატი.

მძლავრი კერა

დაწყვიტეს ფიზიკის უახლეს პრობლემათა და სავსებით ჩამოყალიბდა მეცნიერული სკოლები და მიმართულებები, რომლებმაც გაამდიდრეს მეცნიერება თვალსაჩინო მიღწევებით თანამედროვე მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა დარგში. მათს რიცხვს ეკუთვნის ღრმა გამოკვლევები ზოგად და იბერიულ-კავკასიურ ფილოლოგიაში, რომლებიც შუქს ფენენ ქართველურ ენათა და იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ენათა ჩამოყალიბების ისტორიას, სტრუქტურასა და გენეზისურ კავშირებს; ნაშრომები ისტორიოგრაფიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში, რომლებმაც აღმოაჩინეს და შეისწავლეს საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების ძველი ისტორიის მრავალი წერილობითი და სხვა მატერიალური ძეგლები; ღრმა ნაშრომები ორიენტალისტიკაში, რომლებიც ფართოდ არის ცნობილი, და სხვ.

ბუნებისმეტყველების დარგში დიდმნიშვნელოვანი ნაშრომები ეკუთვნით ბიოლოგიური სკოლის, კერძოდ, ფიზიოლოგიის წარმომადგენლებს; აქ შეიქმნა დიდი ტვინის ქერქის ფიზიოლოგიის ორიგინალური მეცნიერული კონცეპცია, შემუშავებულია თეორია, რომელიც ხსნის ადამიანსა და ცხოველებში სივრცის ორიენტაციისა და მასთან დაკავშირებული პროცესების მექანიზმსა და ძირითად კანონზომიერებას. ამ თეორიების ღრმა დებულებანი დასაბუთებული და განმარტებულია მრავალი მახვილგონიერული ექსპერიმენტით.

ბევრი მნიშვნელოვანი შედეგია მიღწეული ჩვენი ფიზიკოსების ლაბორატორიებში. მათ გაანალიზეს სამეცნიერო გამოკვლევების საერთო მიმოხილვა; ეცნობით ამ 800-გვერდიან წიგნს და ხედავთ, რა დიდი წვლილი შეუტანია უნივერსიტეტს ჩვენში დიდი და მთლიანი სამეცნიერო ფრონტის გამართვის საქმეში თანამედროვე ცოდნის ყველა დარგში.

თბილისის უნივერსიტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ყაზანის, ნორკის, ვილნიუსის, ტარტუს უნივერსიტეტებთან. განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდა ამიერკავკასიის მომძე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის უნივერსიტეტების კოლექტივებთან.

უნივერსიტეტის სტუდენტები სწავლასთან ერთად მეცნიერულ მუშაობაში მონაწილეობენ. ასობით სტუდენტი გაერთიანებულია მეცნიერულ და სხვა თვითმოქმედ წრეებში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივი გამსჭვალულია მტკიცე გადაწყვეტილებით — კიდევ უკეთ დააყენოს ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის მოთხოვნების დონეზე აიყვანოს თავისი მუშაობა. მთელ ძალღონეს და ენერგიას მოვახმართ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას, რომ სამშობლომ ჩვენი უნივერსიტეტიდან კარგად აღზრდილი, მცოდნე, ერთგული პატრიოტები, კომუნისტური პარტიის საქმისათვის თავდადებული ადამიანები მიიღოს.

ვ. კუპრაძე,
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

გედნიერი სიჭაბუკე

თეთრი შენობა, ღვაწლმოსილ მეცნიერთა ჭაღარასავით თეთრი და სპეტაკი შენობა. ორმოცი წელია მის ბერქვეშ იზრდება და ვაკაცდება საქართველოს მომავალი, ჩვენი დიდი ქვეყნის უჭკნობი გაზაფხული. აქ ერთმანეთს შერწყმია ახალგაზრდობის დაუდგრომლობა და ხანდაზმულობის სიდინჯე. ამ კედლებში, როგორც წმიდა ტაძარში, გაუვლია ათასობით ვაჟკაცსა და ქალიშვილს, მოდიოდნენ, რათა წიგნზე დაფენებული ღამეების სანაცვლოდ მიეღოთ ის, რაც ყველაზე მეტად ჭირდება სამშობლოს — ცოდნა.

ხუთი წლის მანძილზე ყოველი „ხუთიანით“ სტუდენტები გულმოდგინედ ავგებენ სტუდენტურ ხუთოწლედს. მხოლოდ ლექციათა-სემინარებს როდი სჯერდებიან. სტუდენტთა 48 სამეცნიერო წრეში 1,500-ზე მეტი კაცია გაერთიანებული. სიხარულის გრძნობით ვგებულობთ, რომ მესამეკურსელი გოგონა ნანული თოდუა უკვე სამი წიგნის ავტორია. ასევე გვაამაყებს იაპონიიდან ხოკაიდოს უნივერსიტეტის პროფესორ შიზო ეჰარასაგან გ. ქაჯაიასთვის გამოგზავნილი წერილი, სადაც სტუდენტის ნაშრომით აღფრთოვანებული იაპონელი ქართველ სტუდენტს პროფესორს უწოდებს და სთხოვს იქონიოს მასთან მეცნიერული მიწერ-მოწერა. სტუდენტ რ. ჟორდანიას შრომა „მერცხლების ბიოლოგიისათვის“, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალ „ფალკეში“ დაიბეჭდა, ირ. ქორქიას შრომა რეგენერაციის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში გამოქვეყნდა, და სხვა მრავალი ცხოველ ინტერესს იწვევენ.

არ არის დარჩენილი ერის ცხოვრების არც ერთი მხარე, რომელსაც თავისი ფესვები არ ჰქონდეს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის აღზრდილი გ. კურდღელაიძე დღეს შორეული ანტარქტიკის მკვლევარია. სტუდენტთა ფიზიკური და სულიერი წრთობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სპორტს. დღეს უნივერსიტეტის სპორტული კოლექტივები მთელ ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოშიც კარგად არის ცნობილი. ვ. ბალავაძე, ნ. ჯორჯაია, შ. დაუშვილი, ნ. დვალიშვილი, გ. ხახტურიძე, ა. ჭკუასელი, ო. გიგინეიშვილი, ლ. ინწკირველი, რ. ცირეკიძე და სხვები სწორედ უნივერსიტეტის კედლებში არიან აღზრდილნი, აქ მიიღეს სპორტული ნათლობა...

ლამაზი ლექსი და ტკბილი სიმღერა შვენის სტუდენტთა ბედნიერ ცხოვრებას. სიმფონიურმა ორკესტრმა და ვოკალურმა კვარტეტმა, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა თუ ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, კინომყვარულთა წრემ თუ სასულე ორკესტრმა შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს უნივერსიტეტს. საყოველთაო მოწონებით სარგებლობს უნივერსიტეტში აღზრდილების ე. კირკალიძის, ზ. რცხილაძის, კ. მაღრაძის, თ. ჩოჩუას, გ. ზედგინიძის და სხვათა შემსრულებლობითი ოსტატობა. ი. ზედაშიძემ, მ. ლომთათიძემ, დოცენტმა ნ. ანდღულაძემ კი მსოფლიო ფესტივალებზე ოქროსა და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. საფრანგეთში საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეპერტუარს უნივერსიტეტის სტუდენტების ლ. თურმანიძის, ე. ურომელიძის და სხვათა მოხდენილი ცეკვაც მატებდა ლაზათს.

სურათზე: უნივერსიტეტის სპორტული კოლექტივების მიერ მოპოვებული ჯილდოები.

მარტო სტუდენტთა ლიტერატურული წრის მაგალითით შეიძლებოდა გვეჩვენებინა ახალგაზრდობის შემოქმედებითი ძალა და მნიშვნელობა. ეს წრე 10 წლის წინათ ჩამოყალიბდა. დაარსების დღიდან მას ქართველი კრიტიკოსი ბესო ფლენტი ხელმძღვანელობს. წრის ლიტერატურული ორგანო ალმანახი „პირველი სხივი“ დიდი მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობს ქართველ მკითხველებში. მას მაღალი შეფასება მისცა საკავშირო პრესამაც; ეს სავსებით გასაგებია. ალმანახის ფურცლებზე ფეხადგმული მწერლები და პოეტები ძველი თაობის ღირსეული შემცვლელნი იქნებიან. ამის თავდებია წრეში აღზრდილი მწერლების მ. მაჟაგარიანის, მ. თოდუას, რ. ჯაფარიძის, ნ. დუმბაძის, ა. სულაკაურის, თ. ჭილაძის, რ. ინანიშვილის, ნ. კილასონიას, ზ. ჭუმბურიძის, ტ. კვანტილაშვილის, შ. ნიშნიანიძის, მ. ფოცხიშვილის და სხვათა ნაწარმოებნი.

უნივერსიტეტის დერეფნებსა თუ აუდიტორიებში იშვიათად როდი შეხვდებით ბრძოლისა და შრომის გმირებს. ეს არც არის გასაკვირველი. ცოტამ როდი დაღვარა წმიდა სისხლი სამშობლოს დასაცავად, ცოტანი როდი ღვრიან ოფლს მშობელი ქვეყნის გასაშვენიერებლად. ასობით სტუდენტი აქ პირდაპირ წარმოებიდან თუ საკოლმეურნეო მინდვრებიდან არის მოსული, ამიტომაც ასე მძლავრია მათში შრომისა და გარჯის ჩვეული.

37 ასეთმა თაობამ გაიარა უნივერსიტეტის შერქვეშ, და კიდევ ბევრი ეზიარება მეცნიერების ამ დიდ ტაძარს.

დიდი ილიას ბროსპექტზე დგას თეთრი შენობა, ღვაწლმოსილ მეცნიერთა ჭაღარასავით თეთრი და სპეტაკი შენობა და უხმობს ახალ თაობებს.

ბ. ბახტურიძე,
ტ. ჭანტურია,
ზ. ბოლქვაძე.

ამხანაგ მარსელ კაშენის დაკრძალვა

პარიზი, 15 თებერვალი. (საკადესი). დღეს საფრანგეთის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს მარსელ კაშენს. დილაადრიანივე საფრანგეთის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების ათასობით მშრომელი მივიდა გაზეთ „ლუმანიტეს“ რედაქციის შენობაში, სადაც ესვენა მარსელ კაშენის კუბო.

დილის 11 საათზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ა. სუსლოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ი. ვ. კაპიტონოვი, გვირგვინით შეამკო მარსელ კაშენის კუბო. გვირგვინს აქვს წარწერა „ამხანაგ მარსელ კაშენს — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ დამაარსებელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან“. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის წევრები დადგნენ საპატიო ყარაულში. მარსელ კაშენის კუბო აგრეთვე შეამკეს გვირგვინით გაზეთ „პრავდის“ რედაქციისაგან.

გაზეთ „ლუმანიტეს“ რედაქციიდან მარსელ კაშენის გამოსვენების მომენტისათვის რედაქციის შენობის წინ შეიკრიბა ათეულ ათასობით პარიზელი. აქვე საპარადო ფორმაში მწყობრი რიგებით ჩამწკრივებულია რესპუბლიკური გვარდიის ქვეგანაყოფები. 14 საათსა და 30 წუთზე საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ლე ტროკერი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დეპუტატთა თანხლებით ეთხოვება მარსელ კაშენის ცხედარს.

წითელი დროშითა და საფრანგეთის ალმით გადაფარებული კუბო მარსელ კაშენის ცხედრით გამოაქვთ გაზეთ „ლუმანიტეს“ შენობიდან და დგამენ ბალდახინზე. რესპუბლიკური გვარდიის ქვეგანაყოფები უმაღლეს მხედრულ პატივს სცემენ მარსელ კაშენს.

სამგლოვიარო პროცესიას წინ მიუძღვის მედროშეთა დიდი ჯგუფი. განსვენებულის კუბოს მიჰყვებიან ნათესავები და მახლობელნი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და გაზეთ „ლუმანიტეს“ მუშაკები, მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ვეტერანები, საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატები, რესპუბლიკის საბჭოს წევრები, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების დელეგაციები, საფრანგეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის, ქალიშვილთა კავშირის და ბევრი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სამგლოვიარო პროცესია, რომელიც გაჭიმული იყო თითქმის ხუთ კილომეტრზე, გაზეთ „ლუმანიტეს“ რედაქციიდან რესპუბლიკის მოედნისა და ბასტილიის მოედნის გავლით მიემართება პერ-ლაშეზის სასაფლაოსაკენ.

16 საათსა და 30 წუთზე სამგლოვიარო პროცესიის მეწინავე კოლონა მივიდა მოედანზე პერ-ლაშეზის სასაფლაოს შესასვლელის წინ.

კუბოს მარსელ კაშენის ცხედრით დგამენ სამგლოვიარო კვარცხლბეკზე მოედნის ცენტრში აღმართული ტრიბუნის გვერდით.

იწყება სამგლოვიარო მიტინგი. სიტყვა ეძლევა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გაზეთ „ლუმანიტეს“ დირექტორის მოადგილეს ეტიენ ფაჟონს.

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ, თქვა ამბ. ე. ფაჟონმა, დაკარგა ერთ-ერთი თავისი გამოჩენილი დამაარსებელი, თავისი ერთგული, უხუცესი მოღვაწე. მარსელ კაშენის გარდაცვალებამ დაამწუხრა მთელი მუშათა კლასი, რომელსაც მან მოახმარა თავისი სიცოცხლე. დაამწუხრა მთელი საფრანგეთი, რომელსაც მან განსაკუთრებული სამსახური გაუწია. მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და პატივცემული მოღვაწეც იყო იგი.

გასულ შემოდგომამდე ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩვენგან მალე წავიდოდა მარსელ კაშენი. 88 წლის ასაკში ის აღსავსე იყო ახალგაზრდული ხალისითა და ენთუზიაზმით, თავისი სიტყვითა და კალმით მგზნებარედ მონაწილეობდა ბრძოლაში, უცვლელად ესწრებოდა პოლიტბიუროს, საფრანგეთის ეროვნული კრების სხდომებს, და განუწყვეტლივ უჯდა თავის საშუშაო მაგიდას გაზეთ „ლუმანიტეში“.

მაგრამ 67 წლის პარტიულმა მუშაობამ და დაძაბულმა ბრძოლამ დაადაა მისი გული, რომელიც ძვირდა მხოლოდ ექსპლოატირებულთა — მთელი მსოფლიოს მომავლის მატარებელთა ბედნიერებისათვის.

ახლა მარსელ კაშენის გულის ძგერა სამუდამოდ შეწყდა.

მარსელ კაშენთან გამოთხოვების ამ წუთებში, ამბობს ე. ფაჟონი, გამოვთქვამ მისდამი პატივისცემას გაზეთ „ლუმანიტეს“ სახელით, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, რომელიც უყვარდა და რომელსაც ემსახურებოდა მთელი ძალებით, ყოველდღიურად აძლევდა მას თავისი თავის საუკეთესო ნაწილს.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო. იგი ლაპარაკობს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გაზეთ „ლუმანიტეს“ დირექტორის მარსელ კაშენის სახელოვანი ცხოვრების გზაზე.

დასასრულ ჟ. დიუკლომ თქვა:

მარსელ კაშენის გარდაცვალებას დიდად განიცდის საერთაშორისო მუშათა მოძრაობა. ამას მოწმობს წერილები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან.

სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმისათვის მებრძოლნი. ისევე როგორც ჩვენ, გლოვობენ მარსელ კაშენს, რომელიც ეკუთვნოდა არა მარტო საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, არამედ საერთაშორისო მუშათა მოძრაობასაც.

ჩვენ დიდად მადლობელი ვართ ყველა იმ ამხანაგისა, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ძწუხარება.

და ამ დიდძალი ხალხის წინაშე, რომელიც მოვიდა რათა უკანასკნელად გამოეთხოვოს მარსელ კაშენს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მივესალმები მომმე პარტიების წარმომადგენლებს, რომელთა სათაეში არიან სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომგზავნილები.

ცენტრალური კომიტეტის სახელით მადლობას ვუძღვნი მოღვაწეებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენთან ერთად გლოვობენ. გულითად სოლიდარობას ვუცხადებ მარსელ კაშენის შვილებს, შვილიშვილებს, მთელ ოჯახს, რომელთა მწუხარებას ვიზიარებთ ჩვენ ყველანი — მისი თანამოაზრეები.

მშვიდობით მარსელ კაშენ!

ჩვენ მაღლა ვატარებთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დროშას, რომელიც თქვენ მტკიცედ გეჭირათ ხელში, ხოლო ნათელ მომავალს, რომელზეც თქვენ ოცნებობდით საფრანგეთისა და კაცობრიობის ინტერესებისათვის, ჩვენ ხვალინდელი დღის გამარჯვებულ სინამდვილედ ვაქცევთ.

მშვიდობით მარსელ! იძინეთ მშვიდად! ჩვენ განვაგრძობთ თქვენს ბრძოლას.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრებულია. პარიზის საქალაქო ტრანსპორტის მუშათა ორკესტრი ასრულებს „მარსელიეზას“ და პროლეტარულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

მიტინგის დამთავრების შემდეგ კუბო მარსელ კაშენის ცხედრით გადააქვთ სასაფლაოზე და დგამენ განსვენებულის დიდი პორტრეტის წინ.

გვიან ღამემდე მიდიოდნენ საფრანგეთის მშრომელები მარსელ კაშენის კუბოსთან.

ამხანაგი მარსელ კაშენი დასაფლავებულია კომუნარების კედელთან.

საბჭოთა კავშირ-აღბანეთის სავაჭრო ურთიერთობის გამო

მიმდინარე წლის 15 თებერვალს იმის შედეგად, რომ წარმატებით დამთავრდა სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მოლაპარაკება, მოსკოვში ხელმოწერილია შეთანხმება საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1958 წლისათვის და ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ.

საბჭოთა კავშირისა და ალბანეთის საქონელბრუნვა 1958 წელს მნიშვნელოვნად გადიდდება 1957 წელთან შედარებით.

ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ ითვალისწინებს მხარეებისათვის ყველაზე მეტი ხელსაყრელი პირობების შექმნას ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ყველა საკითხში და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

შეთანხმებასა და ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, ალბანეთის მხრივ — ვაჭრობის მინისტრმა კ. ნგელიამ.

საბჭოთა მთავრობამ თავისი შეშფოთება განუცხადა საფრანგეთის მთავრობას იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ავიაცია თავს დაესხა ჯუნისის სოფელ საკიეგ-ს

იდ-იუსეფს

პარიზი, 16 თებერვალი. (საკადესი). აქ ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის ელჩი გუშინ ეწვია საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და განუცხადა, რომ მოსკოვში სერიოზულად არიან შეშფოთებული იმ ფაქტით, რომ საფრანგეთის ავიაცია თავს დაესხა ტუნისის დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია, და რომ დაბომბა ტუნისის სოფელი საკიეტ-სიდი-იუსეფი. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი გადაჭრით გმობს სადავო საკითხთა ძალით გადაჭრის მეთოდს, როგორც ისეთ მეთოდს, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებიანებულ ერების ორგანიზაციის ფუძეებს ასევე და ფორმას და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს. საბჭოთა ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა: მოსკოვში იმედი აქვთ, რომ საფრანგეთის მთავრობა სწორად გაიგებს საბჭოთა მთავრობის შეშფოთებას ამის გამო. სსრ კავშირი დიდად არის დაინტერესებული მშვიდობის დაცვით ჩრდილოეთ აფრიკაში და ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

საბჭოთა მთავრობამ თავისი შეშფოთება განუცხადა საფრანგეთის მთავრობას იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ავიაცია თავს დაესხა ჯუნისის სოფელ საკიეგ-სიდი-იუსეფს

პარიზი, 16 თებერვალი. (საკადესი). აქ ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის ელჩი გუშინ ეწვია საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და განუცხადა, რომ მოსკოვში სერიოზულად არიან შეშფოთებული იმ ფაქტით, რომ საფრანგეთის ავიაცია თავს დაესხა ტუნისის დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია, და რომ დაბომბა ტუნისის სოფელი საკიეტ-სიდი-იუსეფი. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი გადაჭრით გმობს სადავო საკითხთა ძალით გადაჭრის მეთოდს, როგორც ისეთ მეთოდს, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებიანებულ ერების ორგანიზაციის ფუძეებს ასევე და ფორმას და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს. საბჭოთა ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა: მოსკოვში იმედი აქვთ, რომ საფრანგეთის მთავრობა სწორად გაიგებს საბჭოთა მთავრობის შეშფოთებას ამის გამო. სსრ კავშირი დიდად არის დაინტერესებული მშვიდობის დაცვით ჩრდილოეთ აფრიკაში და ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

მეგობრობის ფესვები

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 6. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ინტერნაციონალური მეგობრობის ოთახი. ამ მისამართით ფოსტას ყოველდღიურად მოაქვს ათობით წერილი როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქებიდან.

აქ მრავალფეროვანი და საინტერესო მუშაობაა გაშლილი. თქვენ ნახავთ გამოფენებს — სტენდებს, მიძღვნილს საზღვარგარეთელი ბავშვების ცხოვრებისადმი, ხშირად იმართება საუბრები და მოხსენებები. ამას წინათ მოეწყო პიონერთა სასახლის აქტივისტების შეხვედრა თბილისში მცხოვრებ ესპანელ მუშებთან.

ინტერნაციონალური მეგობრობის ოთახში ჩამოყალიბებულია და მუშაობს ჩინური, რუმინული, ესპანური, თურქული, ინგლისური ენების შემსწავლელი წრეები.

პიონერთა სასახლეში 11 ენაზე მეცადინეობენ ბავშვები. ამ დღეებში აქ გაიმართა საღამო „აზერბაიჯანელები თბილისში“. მეგობრობის ოთახში ბევრი რამ არის საინტერესო და მიმზიდველი. აქ თავმოყრილია საზღვარგარეთელი მეგობრების მიერ თბილისელი მოსწავლეებისათვის გამოგზავნილი მრავალრიცხოვანი საჩუქრები: ნაქარგები, ქანდაკებები, ალბომები, სხვადასხვა მაშოები, ქაღალდისა და მუყაოს სხვადასხვა ნაკეთობანი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩინელი მოსწავლეების მიერ გამოგზავნილი მხატვრული გობელენები. საინტერესოა მოქმედი ექსკავატორის მოდელი ჩეხოსლოვაკიიდან, პატეფონის ფირფიტები და პიონერის ყელსახვევი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, იალქნიანი გემის მოდელი ფინეთიდან და სხვ. ლამაზად მოწყობილ სტენდებზე გამოფენილია ... [illegible] ... ხოვანი საჩუქრები: ... [illegible] ... ერ-ერთ ... [illegible] ... ერ-ერთ ... [illegible] ... ერ-ერთ